ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 145
21/09/2018

145-08-4-201809211728

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 28 სექტემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ბეჭდის ნიმუშისა და მერის წარმომადგენელთა მიერ მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 მაისის N26 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

1.7. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

1.8. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

1.9. არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

მომხსენებელი:გოგი ბოლქვაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა